23

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

ნოე ქაშიბაძე

10.05.2013 წელი

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ფინანსური აუდიტის ანგარიში №8/129

(01.01.2012-01.01.2013)

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა დასკვნა....3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები....4
ფორმა N1 - ბალანსი....5
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით....6
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ....7
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ....10
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები....ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.12
1. ზოგადი ინფორმაცია....12
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები....133
3. ქონების აღრიცხვის მდგომარეობა....14
4. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება....15
5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები....16

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდეგში წარმომადგენლობა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს: ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიშს ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

ავტოსარანსპორტო საშუალების („მერსედეს-ბენცი E-320“, ძრავის მოცულობა 3.2, გამოშვებული 2001 წელს) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, განხორციელებულია არარაციონალურად. ვინაიდან 13,000.00 ლარად შეძენილია ავტომანქანა, რომელიც მისი ექსპლუატაციაში ყოფნის (თერთმეტი წელი) ვადიდან გამომდინარე, ამორტიზებული იყო.

შენობა-ნაგებობების აღრიცხვა

წარმომადგენლობა ფაქტობრივად განთავსებულია და ფუნქციონირებს ქ. თბილისში ორ საოფისე ფართზე, კერძოდ: კ. ხეთაგუროვის N2 მისამართზე დაკავებული აქვს 160 m^2 და აღმაშენებლის გამზ. 89/24 მისამართზე დაკავებული აქვს 285 m^2.

ზემოაღნიშნული ფართები წარმომადგენლობის ბალანსზე არ იყო აყვანილი. გარემოებების შესწავლით გაირკვა შემდეგი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახური STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA № 8

- კ. ხეთაგუროვის N2–ში არსებულ ფართზე წარმომადგენლობის განთავსების (ქონების გადმოცემის) თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციულ აქტი ვერ იქნა წარმოდგენილი; აღნიშნული იწვევს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობას.
- აღმაშენებლის გამზ. 89/24 არსებული ფართი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის დადგენილებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა აფხაზეთის სამთავრობო დაწესებულებებს. სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოში მთავრობის წარმომადგენლობა აღნიშნული ფართის მოსარგებლედ არ არის რეგისტრირებული. ასევე უცნობია აღნიშნული აქტივის ღირებულება, ვინაიდან ქონების გადმოცემის ადმინისტრაციულ აქტში არ არის მითითებული საბალანსო ღირებულება და არც შემდგომ მომხდარა მისი დადგენა. აღნიშნული იწვევს „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 01.10.2010 წლის N302 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის და მე-3 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნებთან შეუსაბამობას.

ფინანსური მართვა და კონტროლი

წარმომადგენლობას „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-13 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არ შეუმუშავებია ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარი სისტემა; კერძოდ, არ განუხორციელებია რისკების განსაზღვრა და შეფასებები; არ განუსაზღვრავს ყველა რისკის მნიშვნელობა, ალბათობა და საპასუხო კონკრეტული კონტროლის მექანიზმების დოკუმენტურად ასახვა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	განმარტება	31/12/2011	31/12/2012
აქტივები			
I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		0	0
II. არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები	3		1,584
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		30,331	23,190
სხვა ძირითადი აქტივები			
არაწარმოებული აქტივები			
ბალანსი		30,331	24,774
ვალდებულებები და კაპიტალი			
I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		0	0
II. კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		30,331	24,774
ბალანსი		30,331	24,774
III. საცნობარო მუხლები:			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში		3,116	3,116
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		9,884	14,347
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		8,334	11,456

ხელმძღვანელი _____ დემურ კეკელია

საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახურის უფროსი _____ აზა შენგელია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA № 8

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	განმარტება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (სკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (7-6)
1		2	3	4	5	6	7	8
1.ხარჯები		612,570	641,118	638,229	638,229	638,229	643,336	5,107
1.1 შრომის ანაზღაურება								
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		*415,440*	*411,302*	*411,302*	*411,302*	*411,302*	*411,302*	
1.1.1.3 პრემია		*34,620*	*57,050*	*57,050*	*57,050*	*57,050*	*57,050*	
1.2 საქონელი და მომსახურება		72,510	73,530	70,641			70,409	-232
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	*4*	*30,000*	*31,250*	*31,250*	*31,250*	*31,250*	*31,250*	
მივლინებები		*3,200*	*2,000*	*1,495*	*1,495*	*1,495*	*1,495*	
ოფისის ხარჯები		*26,460*	*26,460*	*24,263*	*24,263*	*24,263*	*24,030*	*-232*
ტრანსპორტ. და ტექნ. ქსპლ. და მოვლა-შენახვა		*12,200*	*13,045*	*12,918*	*12,918*	*12,918*	*12,918*	
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		*650*	*775*	*715*	*715*	*715*	*715*	
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება		-	-	-	-	-		-
1.4 პროცენტი		-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები		-	-	-	-	-	-	-
1.6 გრანტები		-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა		90,000	97,118	97,118	97,118	97,118	97,118	
სოციალური დაზღვევა		*90,000*	*95,000*	*95,000*	*95,000*	*95,000*	*95,000*	
დამქირავებლის მიერ გაწეული სოცდახმარება		*2,118*	*2,118*	*2,118*	*2,118*	*2,118*	*2,118*	
1.8 სხვა ხარჯები		-	-	-	-	-		-

ხელმძღვანელი _____ დემურ კეკელია

საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახურის უფროსი _____ აზა შენგელია

№ 8

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	განმარტება	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.არაფინანსური აქტივები		15,000	16,600	16,596	16,596	16,596
1.1 ძირითადი აქტივები						
1.1.1 შენობა-ნაგებობები		-	*1,600*	*1,600*	*1,600*	*1,600*
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		15,000	15,000	14,996	14,996	14,996
სატრანსპორტო საშუალებები	5	*13,000*	*13,000*	*13,000*	*13,000*	*13,000*
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		*2,000*	*2,000*	*1,996*	*1,996*	*1,996*
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები		-	-	-	-	-
1.2 მატერიალური მარაგები		-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები		-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები		-	-	-	-	-

ხელმძღვანელი _____ დემურ კეკელია

საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახურის უფროსი _____ აზა შენგელია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2011	30,099
დებეტი	
მომუშავეთა ანაზღაურება	(468,352)
საქონელი და მომსახურება	(70,409)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(5,339)
მ.შ.ფიზიკური ცვეთა	*(5,339)*
სოციალური უზრუნველყოფა	(97,118)
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(16,814)
არაფინანსური აქტივები	*(16,814)*
სულ სადებეტო ბრუნვა	(658,032)
კრედიტი	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	652,707
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	-
არაფინანსური აქტივები	-
სულ საკრედიტო ბრუნვა	652,707
წმინდა ღირებულების ცვლილება	(5,325)
წმინდა ღირებულება 31/12/2012	24,774

ხელმძღვანელი _____ დემურ კეკელია

საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახურის უფროსი _____ აზა შენგელია

№ 8

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	მიღება		გასვლა			ნაშთი წლის ბოლოს
		შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	
ძირითადი აქტივები	**30,331**	**16,596**	-	-	**16,814**	**5,339**	**24,774**
შენობა-ნაგებობები	-	1,600	-	-	-	16	1,584
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	30,331	14,996	-	-	16,814	5,323	23,190
სატრანსპორტო საშუალებები	*16,814*	*13,000*	-	-	*16,814*	*1,456*	*11,554*
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	*13,517*	*1,696*	-	-		*3,867*	*11,646*
სხვა ძირითადი აქტივები	-	-	-	-	-	-	-
არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	-	-	-	-	-

ხელმძღვანელი _____ დემურ კეკელია

მთავარი ბუღალტერი _____ აზა შენგელია

საბუღალტრო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

	მაჩვენებელთა დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გასვლა (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
		ბუნებრივ მდგომარეობაში	არაბუნებრივ მდგომარეობაში	შეძენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაციიდან გასული	სხვა სახით გასული	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1	სატრანსპორტო საშუალება სულ:	1		1			1	10,419	707	7,891	1,820	10,419	707	7,891	1,820
1.1	*მ.შ. მსუბუქი მანქანები*			1											
1.2	*ჯიპები და პიკაპები*	1					1								
1.3	*სატვირთო*														
2	მანქანა-დანადგარები და საოფისე ტექნიკა სულ	53		2											
2.1	*მობილური ტელეფონები*	*7*													
2.2	*ტელევიზორები*	*3*													
2.3	*კომპიუტერები*	*13*													

ხელმძღვანელი _____ დემურ კეკელია

მთავარი ბუღალტერი _____ აზა შენგელია

№ 8

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმომადგენლობის დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მიენიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი (1069).

წარმომადგენლობა არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გამგებლობაში არსებული დაწესებულება, რომელიც შექმნილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად ამ დებულებით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

წარმომადგენლობის მართვას, წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის მეშვეობით.

წარმომადგენლობის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) წარმომადგენლობის აპარატი:
ა.ა) იურიდიული, კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება;
ა.ბ) დევნილთა აღრიცხვისა და ანალიტიკური განყოფილება;
ბ) წარმომადგენლობის საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახური;
გ) წარმომადგენლობის თბილისის რეგიონალური სამსახური;
დ) წარმომადგენლობის რეგიონალური მართვის სამსახური;
ე) წარმომადგენლობის სოციალური პროგრამების მართვის სამსახური:
ე.ა) სოციალური პროგრამების მართვის სამსახურის რეგიონული განყოფილება;
ვ) წარმომადგენლობის წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური:
ვ.ა) წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის რეგიონულ საქმეთა განყოფილება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით წარმომადგენლობისათვის განსაზღვრული მომუშავეთა 52 შტატი სრულად იყო დაკომპლექტებული. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა საერთო რიცხოვნებამ კი 5 ერთეული შეადგინა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA № 8

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წარმომადგენლობა ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. ქონების აღრიცხვის მდგომარეობა

შენობა-ნაგებობების აღრიცხვა

წარმომადგენლობა ფაქტობრივად განთავსებულია და ფუნქციონირებს ორ საოფისე ფართზე ქ. თბილისში, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე არ არის აყვანილი, კერძოდ:

- კ. ხეთაგუროვის N2–ში მდებარე ოფისში (დაკავებული აქვს სულ 160 m^2-ის სადარბაზო დერეფანისა და 4 საოფისე ფართები), რომელზეც განთავსებულია წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა, აპარატი, საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახური და წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური. აღნიშნულ შენობაში 2001 წლის დასაწყისიდან 2007 წლის იანვრამდე, განთავსებული იყო ქ. სოხუმის მერია. ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 64–ე მუხლის მე–3 პუნქტისა და 65^1 მუხლის საფუძველზე, 2007 წლიდან ლიკვიდირებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, მათ შორის ქ. სოხუმის მერიაც და 2007 წლის 17 იანვარს, ლიკვიდირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ბაზაზე შეიქმნა, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობები, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთვრობის წარმომადგენლობა. შესაბამისად, წარმომადგენლობა განთავსდა ლიკვიდირებული მერიებისა და გამგეობების ყოფილ შენობებში, კ. ხეთაგუროვის ქ. N2–ში და აღმაშენებლის გამზ. N89/24–ში. 2007 წლის 23 აგვისტოს, საქართველოს ეკონომიკური **განვითარების სამინისტროს, გაეგზავნა წერილი, თხოვნით, აღძრულიყო საკითხი** აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობისათვის კ. ხეთაგუროვის N2–ში მდებარე ფართის, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოცემასთან დაკავშირებით, რის შემდგომაც, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სააგენტოდან იყო შემოთავაზება, აღნიშნული ფართით სარგებლობის

№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GE

თაობაზე მანამ, სანამ არ იქნებოდა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება; თუმცა გადაწყვეტილება ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ან სხვა ფორმით გადმოცემასთან ან სხვა ფართის შეთავაზებასთან დაკავშირებით აღნიშნულ დრომდე არ არის მიღებული;

- აღმაშენებლის გამზ. 89/24, მე–13 სართულზე (დაკავებული აქვს სულ 285 m^2-ის 9 საოფისე ფართი); მოცემული ფართი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის დადგენილებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა აფხაზეთის სამთავრობო დაწესებულებებს. აღნიშნულ ფართზე 2007 წლამდე განთავსებული იყო აფხაზეთის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, კერძოდ, ქ. გაგრის მერია, ტყვარჩელის მერია, გუდაუთის რაიონის გამგეობა, სოხუმის რაიონის გამგეობა და გულრიფშის რაიონის გამგეობა. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ლიკვიდირებისა და მათ ბაზაზე აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების შექმნის შემდგომ, 2007 წლიდან დღემდე, აღნიშნულ შენობაში განთავსებულია წარმომადგენლობის რეგიონული მართვის სამსახური, თბილისის სამსახური და სოციალური პროგრამების მართვის სამსახური. სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოში მთავრობის წარმომადგენლობა აღნიშნული ფართის მოსარგებლედ არ არის რეგისტრირებული.

4. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯული იყო 31,250 ლარი, რაც საერთო საკასო ხარჯების მიმართ 4.9 %-ს შეადგენს; ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე. აქედან ერთი პირი აყვანილი იყო მთელი წლის პერიოდში საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტად, ხოლო ორზე დაკისრებული იყო წარმომადგენლობის ხელმძღვანელის უშუალო, ერთჯერადი განკარგულებების შესრულება სამსახურებრივ საკითხებში და სხვა ფუნქციები. მათზე თვეში ანაზღაურებულია 500-500 ლარი, სულ 18,750.00 ლარი.

5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით წარმომადგენლობას ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად გამოეყო 13,000.00 ლარი.

ავტომანქანის შესყიდვის მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ჩატარებულია წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. **სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით წარმომადგენლობის სისტემაში** ატვირთული აქვს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები.

სატენდერო დოკუმენტაციები (შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების

№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

საკავალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია) დამტკიცებულია სატენდერო კომისის მიერ.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით 13,000.00 ლარად შეძენილია ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი E-320". ავტომანქანის შესყიდვა განხორციელებულია ფიზიკური პირი ირაკლი ჯაფარიძესთან 24.02.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებისა (N15) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

აუდიტორი:
გიორგი ფრუიძე

ასისტენტ-აუდიტორი:
ნაია ხოფერია

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტი
10 მაისი 2013 წელი
ქ. თბილისი

STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
№ 8